

## კრიზისი რეალურია...

### უკვე მთავრობაც აღარ მაღავეს და იძახის, რომ 2009 წელი ყველაზე მძიმე იქნებაო

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 8-14 დეკემბერი, № 49, 2008

რამდენს ხარჯავს ეროვნული ბანკი ყოველკვირეულად ლარის კურსის შენარჩუნებისათვის? რამდენად სწორად იხარჯება დახმარებებისათვის გამოყოფილი თანხები? რატომ გაიზარდა საქართველოდან რუსეთში ფულადი გზავნილების ოდენობა? როდის უნდა ველოდეთ ქართულ კომერციულ ბანკებში სიტუაციის გამოსწორებას? რატომ შემცირდა ვაჭრობის მოცულობა სასურსათო მაღაზიებში? რატომ გაიზარდა ფასები ტექნიკაზე და რატომ დაიწყო ნაადრევად საახალწლო ფასდაკლებები?

ამ საკითხებზე „ქრონიკას“ ეკონომიკური ექსპერტი, ლადო პაპავა ესაუბრება:

– ბატონო ლადო, რაც დოლარის კურსი ლართან მიმართებაში 1,65 გახდა, მას შემდეგ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკს ყოველკვირეულად 40 მილიონ დოლარამდე გამოაქვს გასაყიდად. გამოდის, რომ 40 მილიონ დოლარამდე უჯდება ხელისუფლებას ყოველკვირეულად ლარის კურსის შენარჩუნება?

– დიახ. ასე გამოდის. თუმცა მოდით დავაზუსტოთ. სახელმწიფოს ფუნქცია, თუკი ის უარს არ ამბობს თავისუფალ მცურავ რეჟიმზე, არის სწორედ კურსის რეგულირება. დღეს, ობიექტურად საქართველოში შექმნილი არის ის ვითარება, როცა ლარის კურსის შენარჩუნება შეუძლებელია. ამის მიზეზი მარტივია – დოლარის შემოდინება შემცირებულია და ბუნებრივია, თანაფარდობა დოლარსა და ლარს შორის არ არის ლარის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ლარი ობიექტურად უნდა გაუფასურდეს, ანუ ლარის დევალვაციის პროცესი არის ობიექტური, მაგრამ აქ შესაძლებელი არის ეს დევალვაცია განხორციელდეს არა ნახტომისებურად, არამედ თანდათანობით, მცოცავი რეჟიმით. სწორედ ამიტომ არის ეროვნული ბანკი და მისი რეზერვები იმისთვის უნდა დაიხარჯოს, რათა ლარის მცოცავი დევალვაცია მოხდეს.

სინამდვილეში კი ხდება შემდეგი რამ: გაგახსენებთ 10 ნოემბრის განცხადებას, რომელიც გააკეთა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომ 1,65 კურსი არის წონასწორული გაცვლითი კურსიო. წონასწორული გაცვლითი კურსი ნიშნავს, რომ ეს კურსი მეტნაკლებად სტაბილური უნდა იყოს საბაზრო სუბიექტების – კომერციული ბანკების მხრიდან და ამაში არ უნდა ერეოდეს ეროვნული ბანკი. ანუ, მოთხოვნა და მიწოდება მეტნაკლებად უნდა იყოს გათანაბრებული და ბანკებს, რომლებსაც უნდათ დოლარის გაყიდვა ან ყიდვა, მზად უნდა იყვნენ, რომ ეს გარიგება შესრულდეს 1,65 კურსით. სინამდვილეში კი, როგორც წესი დოლარის მოთხოვნა ბევრად აღემატება მიწოდებას და ამ სხვაობას აბალანსებს ეროვნული ბანკი რეზერვების გაყიდვის ხარჯზე. ესე იგი რა გამოდის? არანაერი წონასწორული გაცვლითი კურსი არ ჩამოყალიბებულა, ეს წონასწორობა ხელოვნურად აქვს შენარჩუნებული ეროვნულ ბანკს და მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებასთან გაამართლოს 10 ნოემბერს მის მიერ გაკეთებული განცხადება. ეს კი ქვეყანას უჯდება არაერთი ათეული მილიონი დოლარი, რეზერვებიდან ხარჯვის სახით. ასე, რომ კურსი 1,65 ხელოვნურად დაჭერილია, ადრე თუ გვიან ეროვნული ბანკის რეზერვები ამას ვერ ეყოფა და არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ თუ არამშვენიერ დღეს 7 ნოემბრის „მწვანე პარასკევი“ კიდევ გაიმეორონ, ანუ, ისევ მოხდეს ნახტომისებური დევალვაცია.

**– მით უმეტეს, რომ ეროვნული ბანკის რეზერვები გაიზარდა საერთაშორისო დახმარებების ხარჯზე...**

– რა თქმა უნდა რეზერვების შევსების შიდა გზები არ არსებობს. ეროვნულმა ბანკმა რომ ბაზარზე იყიდოს დოლარი, ეს კიდევ უფრო მეტად გააუფასურებს ლარს. ახლა რეზერვების ზრდის ერთადერთი რესურსი არის საერთაშორისო დახმარებები. პირველი ასეთი რესურსი იყო ის 250 მილიონი დოლარი, რომელიც ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიიღო და რომელიც უკვე კარგა ხანია დახარჯულია, ხოლო ახლა არის ის სხვადასხვა დახმარება, რომელიც ასევე უცხოური არხებიდან შემოდის. მაგალითად ის 250 მილიონი დოლარი, რომელიც გამოუყო ამერიკამ საქართველოს ომის შემდეგ და დანარჩენი იმ 4,5 მილიარდის ფარგლებში, რა დახმარების 2008-2010 წლებში მიღებაც დაგეგმილია. ამ თანხის გარკვეული ნაწილი ალბათ სწორედ ეროვნული ბანკის რეზერვებში წავა.

– ბატონო ლადო, საერთოდ დახმარებების ნაწილი უკვე შემოვიდა საქართველოში. რაში დაიხარჯა ეს თანხები და მოხმარდა თუ არა იგი რეალურად ეკონომიკის განვითარებას?

– სად დახაირჯა ეს მეორე თემაა. მოდით შევხედოთ რეალურად – კი არის კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რაც დევნილთა ახალი ტალღისთვის აშენდა სასოფლო ტიპის დასახლებები, ხარისხიანი ვერ არისო, მაგრამ იმას ხომ ჯობია, ვიდრე კარვებში ეცხოვრათ ამ უბედურ ხალხს? მე ნამდვილად არა ვარ აუდიტორი ან კონტროლის პალატის თანამშრომელი, რომ ზუსტად ვთქვა რამდენად ეფექტიანად და მიზნობრივად დაიხარჯა საბიუჯეტო სახსრები, მაგრამ ფაქტია, რომ სასოფლო ტიპის დასახლებები აშენებულია. სხვა თუ არაფერი, თანხები გარკვეულწილად მოხმარდა იმას, რომ ეს ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობა ზამთარს კარვებში არ შეხვედროდა.

– სხვა რა მივიღეთ რეალური ამ დახმარებიდან?

– მე ვფიქრობ, რომ ასეთი დახმარება საკმაოდ ფასეულია. სხვა სიკეთესთან ერთად ქვეყანაში უცხოური ვალუტა შემოდის, რაც ზრდის ეროვნული ბანკის რეზერვებს და ეს დღეს საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმისათვის რომ ქვეყანამ მაკროეკონომიკური სტაბილურობა შეინარჩუნოს.

– გადავიდეთ სხვა საკითხზე. ბოლო თვეებში საკმაოდაა გაზრდილი საქართველოდან რუსეთში ფულადი გადარიცხვების რაოდენობა. თქვენი აზრით, რა იწვევს ამას?

– ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთში არის მწვავე ფინანსური კრიზისი. იქ ძალიან ბევრი ქართველი წასული საშოვარზე, რომელიც აქეთ რიცხავდა ფულს. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში საბანკო სტატისტიკა არ არის სრული ინფორმაციის მომცემი. ხშირ შემთხვევაში ეს ფულადი გზავნილები ხდება საბანკო არხების მიღმა. ვიღაცა ნათესავი, ახლობელი, მეგობარი მიდის, მოდის და ფულს ისე ატანენ. ის, რომ საბანკო სტატისტიკა აჩვენებს, საქართველოდან ფულის მეტ გადაგზავნას, ეს იმის გამოც შეიძლება იყოს, რომ აქედან რუსეთში წასვლა პრაქტიკულად შეუძლებელია სავიზო შეზღუდვის გამო და ფულადი გზავნილები საბანკო არხებით ხდება, მაშინ როცა რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლა ძველებურად არის გამარტივებული.

– რაც შეეხება, ჩვენს ბანკებში არსებულ მდგომარეობას... ყველაზე მთავარი, რაც მკითხველს აინტერესებს ისაა, რომ ბანკები მოკლევადიან

**დაკრედიტებებზე გადავიდნენ და გრძელვადიანი სესხების გაცემა შეწყვიტეს. რატომ ხდება ასე და აღდგება თუ არა მათი მუშაობა ძველი სახით?**

– ეს ბუნებრივიც არის, რადგან ქვეყანაში კრიზისია. ბანკებს ისედაც მძიმე საკრედიტო პორთფელი აქვთ და დამატებითი რისკის გაწევას ერიდებიან. ეს არის კრიზისისთვის დამახასიათებელი მოვლენა. რაც შეეხება სიიტუაციის გამოსწორებას. მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამოსწორების პროგნოზები არც თუ ისე ოპტიმისტურია. ყოველ შემთხვევაში იმაზე უფრო ახლო თარიღს, ვიდრე 2009 წლის დასასრულია, უცხოელი ექსპერტები ვერ ასახელებენ. ეს კი ნიშნავს, რომ მეტნაკლებად თავისუფალი ინვესტიციების შემოდინება საქართველოში კვლავ შეზღუდული იქნება. ამას ასევე ემატება ის, რომ კვლავ პრობლემად რჩება სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ბოლომდე შესრულება. თუ აქ არ მოხდა რადიკალური ცვლილებები და ევროკავშირის დამკვირვებლების ფორმატი არ შეიცვალა უფრო სერიოზული ფორმატით, როგორც არის ან ევროკავშირის, ან ეუთოს შეიარაღებული კონტიგენტი, რაც უფრო მეტად იქნება ომის განუახლებლობის გარანტია, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას ნაკლებად უნდა ველოდეთ. დღეს მოსკოვშიც და თბილისშიც, სამწუხაროდ ომის რიტორიკა გრძელდება, რაც ასევე უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც უცხოელ, ასევე ქართველ ინვესტორებზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს პროფესიონალიზმს, რომელიც უნდა გამოიჩინოს საქართველოს მთავრობამ ამ მძიმე ვითარებაში. კრიზისი რეალურია... უკვე მთავრობაც აღარ მაღავეს და იძახის, რომ 2009 წელი ყველაზე მძიმე იქნებაო. მართალია ამას ყველაფერს აბრალებს გლობალურ ფინანსურ კრიზისს, მაგრამ გლობალური ფინანსური კრიზისისა და რუსეთის აგრესიის გარდა, ეს არის იმ შეცდომების ბრალიც, რომელიც დაშვებული აქვს საქართველოს მთავრობას. რამდენად მოხდება ამ შეცდომების გამოსწორება, რამდენად მოხდება საქართველოს ეკონომიკის სწორ რელსებზე გადაყვანა, რამდენად დათანხმდება საქართველოს მთავრობა, რომ ევროკავშირთან გადავიდეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე, არ გააკეთოს ის, რასაც აქამდე აკეთებდა, ანუ ვირტუალურად თითქოს ევროკავშირთან თანამშრომლობდა და სინამდვილეში არც არაფერს არ ცვლიდა, ამ ყველაფერზეა დამოკიდებული რამდენად სწრაფად დაიძლევა საქართველოში კრიზისული ვითარება.

– რამდენიმე დღის წინ „რუსთავი 2“-მა ზარზემით გვაუწყა, რომ რუსეთში დაიწყო სამშენებლო კრიზისი და უკვე ხელფასებს ვეღარ უხდიან თანამშრომლებს...

– „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებმა, რომელთა უმრავლესობას პიროვნულად დიდ პატივს ვცემ, ჯობია არანაკლები ყურადღება დაუთმონ იმ პრობლემებს, რომელიც საქართველოს ახასიათებს. ჩვენ დღეს როგორ მდგომარეობაში ვართ იცით? რადგანაც რუსეთმა აგრესია განახორციელა და დაგვჩაგრა, ამიტომაც ვართ დღეს ასე და რუსეთს თუ რამე ცუდი მოუვა, ჩვენ გაგვიხარდება. რა თქმა უნდა რევანშის განცდა ქართველებში დარჩება და დარჩება დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიფიქროთ რა ხდება არა რუსეთში, არამედ იმაზე, თუ რა ხდება ჩვენს სამშობლოში... ისე, კი გავაკრიტიკე „რუსთავი 2“-ის გადაცემები, მაგრამ ერთი ძალიან კარგი რამეც აქვს. იგივე, დილის ეთერში საკმაოდ კარგი მოკლე ინფორმაციები აქვთ ქართულ ბიზნესში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. თუ დაუკვირდებით ამ ინფორმაციებს, გავიგებთ თუ რამდენი საწარმო იხურება საქართველოში, რამდენი ინვესტორი გადის და საერთოდ რა მძიმე ვითარებაა...

– ჩვენს სამშობლოში რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა, ამაზე ალბათ ისიც მეტყველებს, რომ სურსათის მაღაზიებშიც კი შემცირებულია ვაჭრობის მაჩვენებელი. რა არის ამის მიზეზი?

– აქ ორი ფაქტორია: არ არის გამორიცხული, რომ კვლავ დაიწყო გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება და კვლავ გაიზარდა ჩრდილოვანი ვაჭრობა. ამიტომაც შესაძლოა ობიექტურად გაყიდვების რაოდენობა არ ფიქსირდება. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა ეკონომიკური სიღუბე იჭრება, ხალხი ძირითადად გადადის იაფფასიანი მოხმარების პროდუქტების შეძენაზე. ვერც ერთ შემთხვევაში ადამიანი პურის ყიდვაზე უარს ვერ იტყვის. სანამ ქვეყანაში უკეთესი მდგომარეობა იყო, მანამდე მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა თავისი შემოსავლის რაღაც ნაწილი სხვა პროდუქტებშიც დაეხარჯა. ეს რა თქმა უნდა აისახება ვაჭრობის მთლიან მოცულობაზე.

– ამ დროს 15%-ით გაიზარდა ფასები ტექნიკაზე...

– ტექნიკაზე ფასები იმიტომ გაიზარდა, რომ ის იმპორტულია და გავცლითი კურსი უნდა გაითვალისწინონ. ამას ემატება შიში, რომ ხელისუფლებამ შეიძლება გაიმეოროს “მწვანე პარასკევი”, რადგანაც ამის

გამო პასუხი არავის მოეთხოვა. ახლა კი რა პოლიტიკასაც აწარმოებს ეროვნული ბანკი, რომ რეზერვებს ყიდის და კურსს ხელოვნურად ინარჩუნებს, ამას ყველა ხედავს. ასეთ პირობებში რა თქმა უნდა ტექნიკა გაძვირდებოდა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გაყიდვები მოიმატებს, რადგან ხალხი გაჭირვებულია.

**– და ბოლოს, მაღაზიებში საახალწლო ფასდაკლებები ცოტა ნაადრევად დაიწყო. ეს რისი ბრალია?**

– მე ვერ ვიტყვი რომ ნაადრევად დაიწყო. თუ ავიღებთ ევროპისა და ამერიკის გამოცდილებას, იქ ნოემბრიდან იწყება ფასდაკლებით ვაჭრობა. უბრალოდ საქართველოში ეს კიდევ უფრო გაამძაფრა კრიზისულმა ვითარებამ და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებს, ის საქონელი, რომელიც აქვთ, რომელიც არის სეზონური, უნდათ რაც შეიძლება მაღე მოიშორონ.

**დემიტრი ტიკარაძე**